საბჭოს ერთობლივი მოქმედება 2009/572/CFSP, 2009 წლის 27 ივლისი

შესწორება და გავრცობა 2008/736/CFSP ერთობლივი მოქმედებისა საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM Gეორგია) შესახებ

ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებს ევროპის კავშირის ხელშეკრულებას, განსაკუთრებით მის მე-14 მუხლს,

ვინაიდან:

(1) 2008 წლის 15 სექტემბერს საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/736/CFSP საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ. ეს ერთობლივი მოქმედება შემდგომში შესწორდა ერთობლივი მოქმედებით 2008/759/CFSP და ერთობლივი მოქმედებით 2009/294/CFSP.

(2) 2008/736/CFSP ერთობლივი მოქმედების ვადა გადის 2009 წლის 14 სექტემბერს. მისია სასურველია გაგრძელდეს კიდევ 12 თვით, 2010 წლის 14 სექტემბრამდე.

(3) 2008/736/CFSP ერთობლივი მოქმედების შესწორება უზრუნველყოფს მისიის ხარჯების დაფინანსებას 37 100 000 ევროს ოდენობით, 2009 წლის 14 სექტემბრამდე. ფინანსური ფონდი სასურველია გაიზარდოს 12 500 000 ევროთი, რათა უზრუნველყოს მისიის ხარჯების ანაზღაურება 2010 წლის 14 სექტემბრამდე.

(4) 2008/736/CFSP ერთობლივი მოქმედება შესაბამისად უნდა შესწორდეს,

ღებულობს შემდეგ ერთობლივ მოქმედებას:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს 2008/736/CFSP ერთობლივ მოქმედებაში შემდეგი შესწორებები:

მუხლი 14(1) შეიცვალოს შემდეგით:

‘1. მისიის ხარჯებისთვის განკუთვნილი ფინანსური უზრუნველყოფა შეადგენს 49 600 000 ევროს.’

1. მუხლი 18 შეიცვალოს შემდეგით:

მუხლი 18

ეს ერთობლივი მოქმედება ძალაში შედის მიღებისთანავე და ძალაშია 2010 წლის 14 სექტემბრამდე.’

მუხლი 2

ეს ერთობლივი მოქმედება ძალაში შედის მიღებისთანავე.

მუხლი 3

ეს ერთობლივი მოქმედება გამოქვეყნდეს ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

მიღებულია ბრიუსელში, 2009 წლის 27 ივლისს

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი კ. ბილდტი

(http://eur-lex.europa.eu/საკუთარი თარგმანი)